

**სადაზღვევო საბროკერო კომპანიების როლი საქართველოს
სადაზღვევო ბაზარზე**

ქეთევან კუპრაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: „სადაზღვევო საქმე“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევან კუპრაძე

29.06.2015

აბსტრაქტი

შესავალი: სადაზღვევო ბროკერი ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, რომელიც მოქმედებს დამზღვევის და არა სადაზღვევო კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე. ბროკერი აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა სადაზღვევო ორგანიზაციებთან, რათა უზრუნველყოს დამზღვევის კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისი, ყველაზე კონკურენტუნარიანი სადაზღვევო პაკეტის შეთავაზება. ნაშრომი მიზნად ისახავს საბროკერო კომპანიების როლის მიმოხილვას საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. **მეთოდოლოგია:** კვლევა მოიცავდა თვისებრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ჩაღრმავებითი ინტერვიუ საქართველოს ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო საბროკერო კომპანიების წარმომადგენლებთან. **შედეგები:** საქართველოში რეგისტრირებულია 27 სადაზღვევო საბროკერო კომპანია. ბაზარზე არსებული კომპანიების უმრავლესობა მუშაობს ორი მთავარი მიმართულებით. ისინი ეწევიან აქტიურ საშუამავლო საქმიანობას და ასევე, კომპანიები ორიენტირებული არიან ადგილობრივი კომპანიების საერთაშორისო ბაზარზე გადაზღვევის საკითხებზე. საბროკერო კომპანიების შესახებ საზოგადოებაში არსებობს ინფორმაციული დეფიციტი. **დასკვნა რეკომენდაციები:** კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რომლებიც სადაზღვევო საბროკერო სისტემის განვითარებას უშლის ხელს. მათ შორის, ქვეყანაში მიმდინარე არასტაბილური ეკონომიკური პროცესები, საზოგადოებაში არსებული ინფორმაციის ნაკლებობა და ა.შ. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო საბროკერო კომპანიები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ ბაზრის განვითარებას. გარდა მათი აქტივობისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ პროცესებში სახელმწიფოს ჩართულობაც, რათა მოხდეს ქვეყანაში პროდასავლური მიდგომისათვის ხელის შეწყობა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრება. დამკვიდრებული ლიბერალური გარემო კი, ხელს შეუწყობს სადაზღვევო სექტორის გაჯანსაღებასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს პროფესორ თენგიზ ვერულავას. მან საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით, რჩევებითა და წინადადებებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სადაზღვევო საბროკერო კომპანიების წარმომადგენლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინტერვიუში და დაუზარებლად მომაწოდეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ჩემს მიერ დასმულ შეკითხვებზე. ასევე, მადლობას ვუხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში მიიღო მონაწილეობა .